

მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა
ადგილობრივ თვითმმართველობაში

საჩხერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი
მოსახლეობის საჭიროებების დოკუმენტი

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
(LDA Georgia)

2021 წელი



კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს გრანტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება „გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის“ მხარდაჭერით

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო მადლობას უხდის კვლევაში მონაწილეებს - ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, საკრებულოს, თემის წარმომადგენლებსა და მომსახურების მიმღებ პირებს, ანალიზისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოგროვების პროცესში გაწეული დახმარებისა და კვლევაში ჩართულობისათვის.

მკვლევარი: ნანა გოგოხია, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაციის „თანხმობა“ იურისტი (IDP Women Association "Consent").

წარმოდგენილი კვლევა შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით. მის შინაარსში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

სარჩევი

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია.....	4
1.1 კვლევის საფუძველი	4
1.2. კვლევის მეთოდი და მონაწილეთა შერჩევა	4-5
1.3. ჯგუფური დისკუსიები და მონაცემების შეგროვება	5
2. შესავალი	6-7
3. განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები.....	8
3.1. ეკონომიკური განვითარება.....	8-10
3.2. სოციალურ-ეკონომიკური პროფილი.....	10-11
3.3. ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა.....	11-12
3.4. განათლება, კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა	12-13
3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები.....	13-15
4. რეკომენდაციები.....	16
5. საბიუჯეტო პროგრამა	17-18
6. დანართი.....	19
სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი.....	19-20

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

1.1 კვლევის საფუძველი

ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში, საჩხერის მუნიციპალიტეტში, 2021 წლის აპრილის თვეში, ჩატარდა საჭიროებების კვლევა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა წარმოდგენილი საჭიროებების დოკუმენტი, სადაც ერთი მხრივ საუბარია მოსახლეობის საჭიროებებზე და მეორეს მხრივ COVID 19-ის შემდგომ გამოწვევებზე.

კვლევა უზრუნველყოფს, მოსახლეობის თვალთ დახედული ადგილობრივი პრობლემების გამოვლენა-შესწავლას. მათ მიერ ადგილობრივი საჭიროებების ხედვას, მათ პრიორიტეტებსა და მოლოდინებს ადგილობრივ განვითარებასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას ადგილობრივ დონეზე სტრატეგიული/პრიორიტეტული მიმართულების დაგეგმვისა და ღონისძიებების განხორციელების პროცესში.

კვლევის შინაარსი შეიძლება სრულად არ მოიცავდეს საჩხერის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებებს და არ ასახავდეს სრულ სურათს.

ასევე წარმოდგენილი რეკომენდაციები არ შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც დონორის აზრი და ის გამომდინარეობს მხოლოდ ფოკუს ჯგუფებზე მიღებული ინფორმაციიდან.

1.2 კვლევის მეთოდი და მონაწილეების შერჩევა

კვლევის კონცეფცია, სადისკუსიო თემები და კითხვები შემუშავდება იმერეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის თემატური ჩარჩოს საფუძველზე.

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, ფოკუს-ჯგუფის მეთოდის გამოყენებით. ასევე შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის 2021 წ საბიუჯეტო პროგრამები, მერის 2020 წ განხორციელებული საქმიანობის ანგარიში და 2020-2024 წწ პრიორიტეტების დოკუმენტი.

ფოკუს ჯგუფებისთვის მონაწილეები შეირჩნენ მიზნობრივად, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

შესწავლის მიზნებისთვის რელევანტურ და საინტერესო ჯგუფებად გამოიყო შემდეგი: ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლები; თემის ფორმალური და არაფორმალური ლიდერები; მოწყვლადი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები.

საჩხერის მუნიციპალიტეტში სულ ჩატარდა: 2 (ორი) ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ:

- **ადგილობრივი თვითმმართველობიდან** : მერიის სოციალური სამსახურის, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური კომისიის წარმომადგენლები, ასევე მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში.
- საჩხერის მუნიციპალიტეტის რესურს ცენტრის წარმომადგენელი
- საჩხერის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენელი
- ბიბლიოთეკარი
- ადგილობრივი მაცხოვრებლები სხვადასხვა მოწყვლადობის გათვალისწინებით. (მრავალშვილიანი , სოციალურად დაუცველი, შშმ ბავშვის მშობლები, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი.)

➤ ადგილობრივი არასამთავრობოს წარმომადგენლები.

ფოკუს ჯგუფებში სულ მონაწილეობა მიიღო 15 მა რესპოდენტმა, რომელთა შორის 10 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო. მონაწილეთა საშუალო ასაკი 30 წლიდან 70 წლამდე მერყეობდა.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეობა ითვალისწინებდა ახალგაზრდების ჩართულობას და განსახვავებული სქესის წარმომადგენლის მონაწილეობას.

1.3. ჯგუფური დისკუსია და ინფორმაციის დამუშავება

ჯგუფური დისკუსია ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით, რომელიც შედგებოდა ღია კითხვებისგან. იგი შედგებოდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ჩამოყალიბებული თემებისა და ქვეპუნქტებისგან და მოიცავდა შემდეგ თემებს:

- სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა
- ეკონომიკური განვითარება
- ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა
- ძირითადი სერვისები და პროგრამები საჩხერის მუნიციპალიტეტში
- Covid -19- ით გამოწვეული ახალი საჭიროებები

ფოკუს ჯგუფებს ჰქონდათ სრული თავისუფლება, შეერჩიათ სადისკუსიო თემები, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი საზოგადოებისთვის, განხილული პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის თვალსაზრისით.

ინტერვიუს დასაწყისში თითოეულ რესპოდენტს ეთხოვა თავის წარდგენა და მათი კომპეტენციისა და საქმიანობის შესაბამისად, საკუთარი შეხედულებების გაცნობა თემისა და ზოგადად, მუნიციპალიტეტის პრობლემებსა და საჭიროებებზე. შესავალი პროცესის დასრულების შემდეგ, ინტერვიუერმა ხელი შეუწყო ჯგუფში დისკუსიის დაწყებას თემების, ადგილობრივი ცხოვრების შესახებ.

ინტერვიუერის მიერ ფოკუს ჯგუფის დისკუსიები ჩაიწერა ხმის ჩამწერზე, ხოლო თვალსაჩინოებისთვის ძირითადი საკითხების აღსანიშნავად გამოიყენებოდა საწერი დაფა. ინტერვიუს მონაწილეთა დასწრება დაფიქსირდა დამსწრეთა სიაში, რომელშიც აღინიშნა დამსწრეთა სრული სახელი, მისამართი, დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერა. მიღებული ინფორმაცია დამუშავდა კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით და ინახება ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) ოფისში.

2. შესავალი (ზოგადი მიმოხილვა)

ფოკუს ჯგუფების დისკუსიები მიზნად ისახავდა საჩხერის მუნიციპალიტეტის საზოგადოების საჭიროებებისა და პრობლემების გარკვევას/ დადგენას. დისკუსიების მსვლელობისას, მონაწილეებისათვის შეთავაზებული სადისკუსიო სფეროების ფარგლებში ყველაზე მეტად განხილულ იქნა ისეთი სკიტხები, როგორცაა: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ეკონომიკური განვითარების პროგრამები, ადგილობრივი ბიზნესი, წარმოება და პროდუქციის რეალიზაცია, მიგრაცია და დასაქმება, ინფრასტრუქტურული საკითხები, განათლების ხელმისაწვდომობა, სპორტულ/კულტურული აქტივობები, სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები, ჯანდაცვის პროგრამები და სოციალური სერვისები, მოქალაქეთა ინფორმირებულობა, Covid-19-გან გამოწვეული ახალი საჭიროებები.

დისკუსიებმა ანახა, რომ მიუხედავად მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი წინგადადგმული ნაბიჯისა, ჯერ კვლავ რჩება სხვადასხვა მიმართულებით გამოწვევები, რომელთა გადაჭრამაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და კეთილსაიმედო გარემოს შექმნა. მრავალფეროვანი გახადოს მუნიციპალური პროგრამები, ხელი შეუწყოს განვითარებაზე ორიენტირებული, გრძელვადიანი და მდგრადი სოციალური სერვისების შექმნას, რომელიც მოწყვლად ადამიანებს გააძლიერებს და თვითკმარს გახდის.

საჩხერის მუნიციპალიტეტი კონფლიქტისპირა მუნიციპალიტეტი, სადაც რამდენიმე სოფელი უშუალოდ გამყოფ ხაზთან მდებარეობს. მნიშვნელოვანია აღნიშნული სოფლების მაცხოვრებლებისთვის კვლავ გაგრძელდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით მხარდაჭერი ღონისძიებები და მაქსიმალურად შეეწყოს ხელი მოქალაქეთა უსაფრთხოებას.

ახალი კორონა ვირუსის გავრცელებამ, საჩხერის მუნიციპალიტეტი, მსგავსად სხვა მუნიციპალიტეტებისა ახალი, გაუთვალისწინებელი გამოწვევების წინაშე დააყენა. შეფერხდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა რომელთაც შეუძლირდათ შემოსავალი ან საერთოდ დაკარგეს სამუშაო, მოწყვლადი ოჯახები უფრო მეტი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ.

პანდემიის პერიოდში მუნიციპალიტეტი თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას უწევდა ადგილობრივ მაცხოვრებლებს. აწვდიდა სასურსათო კალათებს, ახდენდა მოქალაქეების ინფორმირებულობას არსებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, უწევდა დახმარებას გადაადგილებაში. მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ადამიანური რესურსებით ახერხებდა პანდემიის პერიოდში მოსახლეობისთვის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების უწყვეტად მიწოდებას. უზრუნველყოფდა მოქალაქეების ინფორმირებულობას როგორც კოვიდ-19-გან დაცვის მექანიზმების, ასევე დაწესებული შეზღუდვებისა და რეგულაციების შესახებ, თუმცა მნიშვნელოვანია რომ სამომავლოდ მეტად შეეწყოს ხელი ელექტრონული, დისტანციური სერვისების დანერგვას, რომ მოქალაქეებისთვის გადაადგილების შეზღუდვებისა და დისტანციის აუცილებლობის პირობებში შეუფერხებლად და მარტივად ხდებოდეს ყველა აუცილებელი სერვისის მიწოდება და დროული ინფორმირება.

პანდემიამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა მოწყვლადი კატეგორიის მოქალაქეებზე ზრუნვის აუცილებლობა. დაწესებულმა შეზღუდვებმა, გაზრდილმა ფასებმა, შემოსავლის წყაროს დაკარგვამ მოწყვლადი მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად გახადა დამოკიდებული სახელწმიფო დახმარებებზე. დამძიმებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ კი გაზარდა მოწყვლადი (სოციალურად

დაუცველი) ოჯახების რაოდენობა¹. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა კვლავ გააგრძელოს და უზრუნველყოს როგორც არსებული სერვისების გადახედვა და გაუმჯობესება, ახალ საჭიროებებს მორგება, ასევე სერვისებს მიღმა დარჩენილი მოქალაქეების იდენტიფიცირება და მათ საჭიროებებზე რეაგირება.

მომდევნო თავებში დეტალურად იქნება გადმოცემული ის მოსაზრებები, რომელიც ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას გამოიკვეთა როგორც გამოწვევები, და ასევე რაც მუნიციპალიტეტის დოკუმენტების შესწავლის შედეგად იქნა გამოვლენილი. დანართის სახით წარმოდგენილია ფოკუს ჯგუფების განხორციელების ინსტრუმენტები.

ანგარიშში მოცემული გამოწვევები არ წარმოადგენს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციისთვის განკუთვნილ საკითხებს, და მათი გადაჭრა/ მოგვარება შესაძლოა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა თუ საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით იყოს შესაძლებელი.

¹ სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდი. http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1476

3. განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები

3.1 ეკონომიკური განვითარება: საჩხერის მუნიციპალიტეტს ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში შემუშავებული აქვს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომლითაც მიზნად დაისახა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტში და იმ გამოწვევებზე მყისიერი რეაგირება, რომელიც ეკონომიკური განვითარების კუთხით შესაძლოა ადგილზე არსებობდეს.

სოფლის მეურნეობა : საჩხერეში, მოსახლეობა მისდევს სოფლის მეურნეობის ისეთ დარგებს, როგორცაა მევენახეობა, მესაქონლეობა, მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების მოყვანა. აღნიშნულ საქმიანობას ძირითადად თვითდასაქმებული ფერმერები ეწევიან, რომელთა მიერ მოყვანილი მოსავალი უფრო პირადი მოხმარებისთვის გამოიყენება, მცირე ნაწილი კი გასაყიდად.

მართალია ადგილზე არსებობს ე.წ მექანიზაციის ცენტრი, სადაც წარმოდგენილია მიწის დასამუშავებლად საჭირო სხვადასხვა ტექნიკა, თუმცა მოსახლეობა მიწებს მაინც ნაკლებად ამუშავებს, რადგან მიაჩნია, რომ აღნიშნული საქმიანობა შრომატევადია, ხოლო მიღებული შემოსავალი არ არის საკმარისი დაბალი პროდუქტიულობის გამო. გარდა ამისა, მოსახლეობის აზრით, ხელშემშლელი ფაქტორია საჭირო თესვების სიძვირე, ძვირადღირებული სასუქები და პესტიციდები. ასევე ყოველთვის არსებობს მაღალი რისკი სეტყვის, გვალვის რომელმაც შესაძლოა მოსავალი დააზიანოს, რაც თვითდასაქმებული ფერმერისთვის დამატებითი ზიანის მომტანია. სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით გამოიკვეთა აგრონომების საჭიროება, რომელთა მიერ კონსულტირება, მოსახლეობას ხელს შეუწყობდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებების სწორად წარმართვასა და დაგეგმვას.

მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მეფუტკრეობას მისდევს, რომელთა უმეტესობა ვერ ახერხებს თაფლის ბითუმად რეალიზაციას. ამ დარგის განვითარების მიზნით კოოპერატივების ჩამოყალიბებაც მოხდა, თუმცა თაფლის საერთაშორისო ბაზარზე გატანა ჯერ ისევ გამოწვევად რჩება. როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს თაფლის ბითუმად რეალიზაციის ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორია თაფლის ხარისხის განმსაზღვრელი ექსპერტიზის პროცედურების საქართველოში ჩატარების ნაკლები ხელმისაწვდომობა (აუცილებელია თაფლის ნიმუშების საზღვარგარეთ ლაბორატორიებში გაგზავნა) და აღნიშნული სერვისის სიძვირე.

მოსახლეობის ნაწილი მისდევს მეცხოველეობას და აწარმოებს რძის პროდუქტებს. თუმცა როგორც ფოკუს ჯგუფების დისკუსიისას გამოიკვეთა , მოსახლეობას ძირითადად დაბალპროდუქტიული ჯიშის საქონელი ჰყავს და მეცხოველეობის უფრო მეტად განვითარების თვალსაზრისით ისურვებდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშების გაუმჯობესებას. მეცხოველეობის საკითხზე მსჯელობისას, რესპოდენტებმა ხაზი გაუსვეს ადგილზე კვალიფიციური ვეტერინარების კადრის ნაკლებობას. ადგილზე ხორციელდება სახელმწიფო ვაქცინაციის პროგრამა, თუმცა კერძო პროფილაქტიკური, თერაპიული და სხვა ვეტერინარული მომსახურების მიღება კვალიფიციური კადრის ნაკლებობის გამო თითქმის შეუძლებელია.

ფოკუს ჯგუფების დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსახლეობაში ნაკლებია ინფორმაცია სოფლის მეურნეობის ახალი კულტურების მოვლა/მოყვანის შესახებ,(ის რაც არ არის ტრადიციული

საჩხერის მუნიციპალიტეტისთვის) მოქალაქეები არ ფლობენ უნარებს თანამედროვე ტექნოლოგიების და მიდგომების გამოყენებით მიწის დამუშავების შესახებ, რაც ხელს შეუწობდა მათ მიერ გაწეული ხარჯების შემცირებას და მოსავლიანობის გაზრდას. მცირე ფერმერებს ნაკლებად ესმით აგრობიზნესის მართვისა და თანამედროვე მეურნეობის შესახებ, რადგან მათი ცოდნა და უნარ-ჩვევები თვითსწავლებასა და უკვე არსებულ პრაქტიკულ გამოცდილებას ეყრდნობა. საჭიროა სასოფლო-სამეურნეო, მეცხოველეობის, მექანიზაციის, ვეტერინარიის, აგრო-ბიზნესის მენეჯმენტის, გაყიდვებისა და მარკეტინგის და სხვ. დარგებთან დაკავშირებული პროფესიულ-საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამები, რაც ადგილობრივად ნაკლებად ხელმისაწვდომია.

ბოლო წლების მანძილზე, სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში, საჩხერეში გაშენდა მოცვის პლანტაციები. გარდა აღნიშნული პროგრამისა, მოსახლეობას შეუძლია ისარგებლოს ეკონომიკური განვითარების ისეთი სახელმწიფო პროგრამებით, რომელიც გათვალისწინებულია „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნული პროგრამების დახმარებით დაიწყო და განავითარა საკუთარი ბიზნეს საქმიანობა, თუმცა პროგრამების პოპულარიზაცია მეტ ძალისხმევას მოითხოვს. მოსახლეობას არ აქვს სათანადო ცოდნა ახალი კულტურების მოვლა/მოყვანის შესახებ, რის გამოც სიფრთხილით ეკიდება ახალი საქმიანობის დაწყებას. პროგრამებში მონაწილეობა მოითხოვს სხვადასხვა სახის უნარების ქონას, როგორცაა ბიზნეს განაცხადის წერის უნარები, ბიუჯეტის დაგეგმვა, პროგრამებით გათვალისწინებული ელექტრონული ფორმების შევსება და ელექტრონულად გაგზავნა, რაც მოქალაქეებისთვის ბარიერია და ხშირად დახმარება სჭირდებათ. ასევე ბარიერებად დასახელდა პროგრამებში გათვალისწინებული თანამონაწილეობა, *„მოსახლეობა არ მიესალმება იმ გაზრდილ თანამონაწილეობასაც რაც ამ პროგრამებშია გათვალისწინებული, ესეც დამატებით ბარიერად აღიქმება“*, აღნიშნა ფოკუს ჯგუფის მონაწილემ.

ვინაიდან საჩხერე კონფლიქტისპირა მუნიციპალიტეტია, იმ სოფლებში რომლებიც გამყოფ ხაზთან მდებარეობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური დახმარებით ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები, მათ შორის ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით.

პანდემიის შედეგად მოსახლეობის ნაწილი დაუბრუნდა სოფელს, თუმცა მათ ადგილზე დასამაგრებლად და საარსებო წყაროს შესაქმნელად სჭირდებათ ეკონომიკური განვითარების კუთხით ხელშეწყობა მცირე გრანტების თუ სხვა მათ საჭიროებაზე მორგებული პროგრამების განხორციელების სახით.

ადგილობრივი ბიზნესი და ბაზარზე წვდომა: საჩხერეში ადგილობრივი ბიზნესი ძირითადად წარმოდგენილია მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების სახით. ბოლო წლების მანძილზე, არაერთ ახალ სამეწარმეო საქმიანობას ჩაეყარა საფუძველი, თუმცა პანდემიის უარყოფითი ზეგავლენის შედეგად 2020 წლიდან რამდენიმე მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტმა შეაჩერა საქმიანობა, რამაც თავისთავად გავლენა იქონია სამუშაო ადგილების რაოდენობაზეც.

ადგილზე თავლის და რძის პროდუქტების, ღვინის წარმოება ხდება. ფუნქციონირებს რძის საწარმო, რომელიც მოსახლეობისაგან იბარებს რძეს და დამზადებული რძის პროდუქტების რეალიზებას ახდენს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

ასევე საჩხერე ცნობილია ქვიშის მოპოვებით, რომელიც მშენებლობის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნილი ნედლეულია. კვარციანი ქვიშის მოპოვება რამდენიმე სოფელში ხდება.

ადგილობრივ თვითდასაქმებულ ფერმერებს, მოყვანილი პროდუქციის რეალიზაცია ადგილზე უწევთ. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ პროდუქციის გაყიდვა საბაზრო ფასთან შედარებით იაფად უწევთ, თუმცა საჩხერიდან გასაყიდად სხვა მუნიციპალიტეტში გატანა ძვირი უჯდებათ(საწვავი, ტრანსპორტი და სხვა), რის გამოც ჯერდებიან ადგილზე შემოთავაზებულ ფასს.

ტურიზმი და რეკრეაცია: საჩხერე ნაკლებადაა განვითარებული ტურისტული კუთხით, თუმცა პოტენციური გააჩნია ტურიზმის გარკვეული მიმართულებების განვითარების. აქვე გახსნილია სასტუმრო „საჩხერე რეზიდენსი“ რომელიც ერთ-ერთი მაღალი სერვისის მიმწოდებელი ობიექტია და დასაქმებული ჰყავს ადგილობრივი მაცხოვრებლებიც.

მოთხოვნის არ არსებობის გამო სასტუმროები(თუნდაც საოჯახო) ნაკლებადაა წარმოდგენილი, არსებული კი ძირითადად ქ. საჩხერეშია.

რეკრეაციული ზონების შექმნას მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს და ყოველწლიურად გათვალისწინებული აქვს რეკრეაციული ზონების გაშენება და არსებულის მოვლა პატრონობის უზრუნველყოფა.

3.2 სოციალურ-ეკონომიკური პროფილი: ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შეფასებით საჩხერეში სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით უმჯობესია. თუმცა აქაც შესამჩნევია ოჯახების გადინება, უმუშევრობა, ახალგაზრდების ნაკლები მონაწილეობა ეკონომიკურ საქმიანობაში და სხვა.

საჩხერის მუნიციპალიტეტში, ყველა თემში არიან ოჯახები, რომელთა შრომისუნარიანი ასაკით ახალგაზრდა ოჯახის წევრები საზღვარგარეთ იმყოფებიან სამუშაოდ. ფოკუს ჯგუფების მონაწილეების მიერ აღინიშნა, რომ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის არც თუ ისე მცირე ნაწილი შუახნის ასაკს გადაცილებული და საპენსიო ასაკს მიღწეულია, რომლებიც მუდმივ ყურადღებას და დახმარებას საჭიროებენ.

დემოგრაფიული პროცესების წასახალისებლად მუნიციპალიტეტს (მერიის სოციალურ სამსახურს) შემუშავებული აქვს შობადობის წამახალისებელი ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა ახალშობილებისთვის, თუმცა პარალელურად აუცილებელია მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამების შემუშავება, რომელიც ერთჯერადი ფულადი გასაცემლით არ იქნება გამომხატული. ცალკე საკითხად გაიმართა მსჯელობა მოსახლეობის ხელმისაწვდომობაზე საკვებ პროდუქტებთან. რესპოდენტების მხრიდან აღინიშნა, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მხოლოდ სახელმწიფო დახმარებაზეა დამოკიდებული, რაც არ აძლევს მათ შესაძლებლობას შეიძინონ ჯანმრთელობისთვის საჭირო ყველა პროდუქტი, შესაბამისად მათი კვების რაციონი ნაკლებადაა დაბალანსებული ყველა საჭირო მინერალებითა და ვიტამინებით. მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ფერმერულ საქმიანობას ეწევა, ძირითადად ყიდის მოყვანილ მოსავალს/საქონელს და ყიდულობს მისთვის საჭირო პროდუქტებს.

უნდა აღინიშნოს, რომ Covid -19 -ით გამოწვეული შეზღუდვების დროს მუნიციპალიტეტი სასურსათო კალათებით უზრუნველყოფდა ყველაზე მოწყვლად მოსახლეობას, განსაკუთრებით მრავალშვილიან,

სოციალურად დაუცველ ოჯახებს და 75+ და მარტოხელა ხანდაზმულების. ამ მიზნით მუნიციპალიტეტმა 2020 წელს მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან დამატებით 210 000 ლარი გამოყო.

შრომის ბაზარი, უმუშევრობა და მიგრაცია: მუნიციპალიტეტში დასაქმების ძირითადი კერა საბიუჯეტო ორგანიზაციებია. ახალი სამუშაო ადგილები ნაკლებად იქმნება, ამიტომ დასაქმება ადგილზე არც ისე მარტივია. როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს, კერძო სექტორში (სასურსათო მაღაზიები, აფთიაქი, კვების ობიექტები და სხვა) დასაქმებულთა შრომითი ანაზღაურება დაბალია, რაც თვის განმავლობაში არასაკმარისია საჭირო საოჯახო ხარჯებისთვის, რის გამოც მოწყვლად მოსახლეობას ბანკიდან სესხის აღება უწევს, რაც მაღალი პროცენტით ხასიათდება და შემდგომში კი ვალის გადახდა უჭირთ.

რესპოდენტების აზრით, ადგილზე ნაკლებია დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობა ახალგაზრდებისთვის, რის გამოც მათი ნაწილი გადადის სხვა დიდ ქალაქში ან საზღვარგარეთ მიემგზავრება. სასწავლებლად წასული ახალგაზრდების უმეტესობა უკან მუნიციპალიტეტში ნაკლებად ბრუნდება. სამუშაო ადგილების სიმცირე, ადგილზე განვითარების ნაკლები შესაძლებლობა კი ფოკუს ჯგუფების მონაწილეების აზრით ხელს უწყობს მიგრაციას.

მოსახლეობის ნაწილი თვითდასაქმებულია და მიწას ამუშავებს ან მცირე საოჯახო მეურნეობითაა დაკავებული. ასეთი ოჯახებისთვის საარსებო წყაროა მოყვანილი პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი.

3.3 ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა: ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და უსაფრთხო გარემოს შექმნა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. მუნიციპალიტეტში დასრულებულია პირველხარისხიანი გზების მოწესრიგება. სხვა მუნიციპალიტეტებთან დაკავშირება გამართული საგზაო ინფრასტრუქტურით შესაძლებელია. ასევე მოწესრიგებულია სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზები. მოწესრიგებას საჭიროებს შიდა სასოფლო გზის გარკვეული მონაკვეთები.

გზის გაყვანის პარალელურად მიმდინარეობს გარე განათების მოწესრიგება. გაზიფიცირება დასრულებულია. მოსახლეობისთვის ხდება ელექტროენერჯის შეუფერხებელი მიწოდება. მოწესრიგებას საჭიროებს კანალიზაციის სისტემა, რომელიც ქალაქში მოძველებულია, სოფლებში კი პრაქტიკულად არ არსებობს (მოსახლეობა სოფლებში სარგებლობს საკუთარ ნაკვეთზე ე.წ კანალიზაციის ორმოებით, რომლის გათხრასაც თვითონ უზრუნველყოფენ). ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მოსაზრებით გამოწვევაა სასმელ და სარწყავ წყალზე ხელმისაწვდომობა. სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია დაწყებულია. ზოგიერთ სოფელში აუცილებელია ჭაბურღილების დასმა გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე. მონაწილეების მხრიდან ასევე აღინიშნა კლიმატური პირობების შეცვლის შედეგად ზაფხულის პერიოდში ჭების დაშრობა და წყლის რესურსის შემცირება. სოფლებში დგას სასოფლო სამეურნეო დანიშნულების სარწყავი სისტემების არსებობის საჭიროება, რაც სახელმწიფო ეკონომიკური განვითარების პროგრამებში მოქალაქეთა ჩართულობასაც შეუწყობს ხელს.

² საჩხერის მერის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში 2020 წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდე .გვ 1.

ნაგვის ურნები განთავსებულია მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომ ადგილებში. რეგულარულად ხდება ნარჩენების გატანა. მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება ეკოლოგიურ საკითხებზე, რადგან სოფლებში ხშირად ხდება ხევების დაბინძურება , პოლიეთილენის პარკებისა და ბოთლების გადაყრა ან დაწვა .

სოფლების ნაწილში ნაკლებია ხელმისაწვდომობა ისეთ სერვისებზე , როგორცაა აფთიაქი, სასურსათო მაღაზიები, სილამაზის სალონი, ფეხსაცმლის შემკეთებელი და სხვა. აღნიშნული სერვისების მისაღებად მოსახლეობას ქალაქში უწევს ჩამოსვლა, რაც დამატებით ხარჯთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების დროს (გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები) აფთიაქებისა და სასურსათო მაღაზიების ადგილზე ნაკლები ხელმისაწვდომობის გამო, მერიის თანამშრომლებს უწევდათ მოსახლეობისთვის დამატებითი მომსახურების გაწევა და მათთვის საჭირო მედიკამენტების , სურსათის შესყიდვა- მიწოდება, რაც ერთის მხრივ თავად მერიის თანამშრომლების ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი იყო, მეორეს მხრივ კი ზრდიდა ხარჯებს (მაგ. საწვავის ხარჯი) .

სოფლებში, საბანკო მომსახურება (პენსიის , სოციალური დახმარების მიღება) ხორციელდება ლიბერთი ბანკის მიკროავტობუსით, წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით.

მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია სკოლებისა და ბაღების ინფრასტრუქტურა. ხდება ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მხრიდან აღინიშნა, რომ საჭიროებას წარმოადგენს ზოგიერთ სოფელში სკოლების გარე ეზოების კეთილმოწყობა, ასევე ბაღების ნაწილისთვის გარეთა საბავშვო მოედნების კეთილმოწყობა (საბავშვო საქანელები და სხვა) .

სამწუხაროდ არსებული ინფრასტრუქტურა არ არის მორგებული შშმ პირთა საჭიროებებს. პანდუსები ძირითადად საბიუჯეტო ორგანიზაციებს გააჩნიათ. კერძო ობიექტებს კი , რესპოდენტების თქმით პანდუსი ან არ აქვს , ან ზოგჯერ არ არის დაცული შესაბამისი სტანდარტები.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი: საჩხერეში მუნიციპალური ტრანსპორტი არ არის, მოსახლეობა სარგებლობს კერძო მიკროავტობუსებით, რომელთა მოძრაობის გრაფიკი რესპოდენტების აზრით, ნაკლებადაა მორგებული მოსახლეობის ინტერესებს. შესაბამისად ზოგიერთი სოფლიდან გადაადგილება არ არის მოსახერხებელი მაცხოვრებლებისთვის, თუმცა მოქალაქეთა ნაკადის სიმცირის გამო სატრანსპორტო კომპანია მგზავრთა დამატებით გადაადგილებას არ უზრუნველყოფს. აღნიშნული ტრანსპორტი არ არის ადაპტირებული და მორგებული შშმ პირთა საჭიროებებს, თუმცა მერიას შეძენილი ჰყავს ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც უზრუნველყოფს შშმ პირების ტრანსპორტირებას საჭიროების შესაბამისად. საჩხერის მუნიციპალიტეტის მიერ უზრუნველყოფილია სოფელ პერევიდან, როგორც კონფლიქტისპირა სოფლიდან საჩხერემდე და პირიქით მოქალაქეების უფასო ტრანსპორტირება.

კომუნიკაციებზე ხელმისაწვდომობა: საჩხერის მუნიციპალიტეტში ინტერნეტი ფარავს როგორც ადმინისტრაციულ ცენტრს , ასევე სოფლებს, თუმცა მოსახლეობისთვის ნაკლებადაა ხელმისაწვდომი სწრაფი და ხარისხიანი ინტერნეტი. პანდემიის შედეგად ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა გაიზარდა, თუმცა რესპოდენტების თქმით მიწოდებული ინტერნეტის ხარისხი დაბალია და მათთვის ძვირი.

3.4 განათლება, კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა: სკოლამდელი და სასკოლო განათლება ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის. უზრუნველყოფილია ასევე შშმ ბავშვთა განათლების ხელმისაწვდომობა როგორც ბაღებში, ასევე სკოლებში. ყველა სკოლას ჰყავს სპეც. მასწავლებელი. გამოწვევად დასახელდა ფსიქოლოგების ნაკლები ხელმისაწვდომობა. მონაწილეები არ ფლობდნენ ინფორმაციას არის თუ არა ადგილზე ისეთი შშმ ბავშვები, რომლებიც შინსწავლის სერვისით სარგებლობას საჭიროებენ.

ადგილზე არის პროფესიული სასწავლებელი, სადაც სხვადასხვა პროფესიით გადამზადება ხდება მოკლევადიან პროგრამებზე. თუმცა ადგილზე არ არის სოფლის მეურნეობის კუთხით გადამზადების პროგრამები, რომლებიც უფრო მოთხოვნადი შეიძლება ყოფილიყო საჩხერეში (აგრონომი, ვეტექიმი, მებაღეობა).

ადგილზე, მერიის დაფინანსებით არსებობს საგანმანათლებლო, სპორტული, სამუსიკო, სახელოვნებო სკოლები, სადაც მოზარდებს შეუძლიათ სხვადასხვა წრეების გავლა. აღნიშნული დაწესებულებების უმრავლესობა ქ. საჩხერეშია თავმოყრილი, ამიტომ რესპოდენტების აზრით, საჭიროა ადგილზე, სოფლებშიც უფრო მეტად შეეწყოს ხელი ისეთი სივრცეების შექმნას, სადაც ბავშვებს და მოზარდებს, ექნებათ შესაძლებლობა აქტიურად იყვნენ ჩართული სპორტულ, კულტურ საგანმანათლებლო და სახელოვნებო წრეებში.

მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები: მუნიციპალიტეტში დანერგილია მონაწილეთა ჩართულობის, კანონში გაწერილი ფორმები, თუმცა მოქალაქეები ნაკლები აქტიურობით გამოირჩევიან. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტში ტარდება სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები, ასევე ხდება ბიუჯეტის დაგეგმვის დროს მოსახლეობისთვის ინფორმაციის გაზიარება. ფუნქციონირებს მერიის სათათბირო ორგანო, მრჩეველთა საბჭო, თუმცა დისკუსიის დროს გამოიკვეთა საბჭოს გაძლიერების საკითხი. მუნიციპალიტეტში მოქალაქეებს არ აქვთ ელექტრონული პეტიციების წარდგენის შესაძლებლობა, ჯერჯერობით არ არის ხელმისაწვდომი დისტანციური სერვისების მიწოდება მოქალაქეებისთვის, თუმცა მათი განვითარება და ხელმისაწვდომობის გაზრდა მნიშვნელოვანია პანდემიიდან გამოდინარე, როდესაც გადაადგილების შეზღუდვა და დისტანციის დაცვა ვირუსის გავრცელების ერთ-ერთი შემაკავებელი პრევენციული ღონისძიებაა.

მერიის სიახლეების შესახებ ინფორმაცია მერიის ვებ გვერდითა და სოციალური ქსელის დახმარებით ვრცელდება. სხვადასხვა სახის ინფორმაცია ასევე გამოკრულია სოფლის წარმომადგენლების სამუშაო ადგილას. მიუხედავად ამისა, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებისგან გამოწვევად დასახელდა საჭირო ინფორმაციაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა.

მერიაში არსებობს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო, სადაც განიხილება შშმ პირთა საჭიროებები. რესპოდენტების აზრით სასურველია სხვადასხვა აქტივობებით, ან ჩართულობის ახალი მექანიზმების დანერგვით მოხდეს მოქალაქეთა ჩართულობის წახალისება.

3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები: საჩხერის მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამების მიწოდება სოციალური მომსახურეობის სააგენტოსა და მერიის მიერ ხორციელდება. მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს მრავალფეროვანი ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამები, თუმცა სტანდარტულად მათი უმრავლესობა ფულად გასაცემელს(ერთჯერადს) მოიცავს, რაც ვერ

უზრუნველყოფს მოქალაქის წინაშე მდგარი პრობლემის ძირეულ აღმოფხვრას. მუნიციპალიტეტი პროგრამებისა და სერვისების შემუშავებას ძირითადად შემოსული განცხადებების ანალიზის საფუძველზე ახდენს.

ჯანდაცვის პროგრამები და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა: საჩხერეში ფუნქციონირებს მრავალპროფილიანი საავადმყოფო, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აპარატურით. აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებაში მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით და მიიღონ ადგილზე სხვადასხვა სახის სამედიცინო სერვისი. სოფლებში ხელმისაწვდომია ამბულატორიები და სოფლის ექიმის მომსახურეობა. მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ თანადაფინანსებით მედიკამენტების შესაძენად ან სხვა სამედიცინო მანიპულაციების ჩასატარებლად.

შშმ პირის სტატუსის დამდგენი კომისია საჩხერეში არ არის, რის გამოც მოქალაქეებს ზესტაფონში უწევთ წასვლა, რაც როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილემ აღნიშნა შშმ პირებისთვის, განსაკუთრებით კი ბავშვებისთვის სტრესულია და მძიმე ფსიქოლოგიური დატვირთვაა, მითუმეტეს რომ რამოდენიმეჯერ უწევთ გადაადგილება სტატუსის მისაღებად. სამედიცინო სერვისის მიღება შშმ პირებისთვის საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, რისი შესაძლებლობაც ხშირად მოსახლეობას არ გააჩნია. „*დაზღვევა შშმ პირების საჭიროებებს საერთოდ არ არის მორგებული, მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებაც ვერ ფარავს ჩვენს საჭიროებებს, არ გვინდა ერთჯერადი დახმარება. იყოს რაღაც შეფასების სისტემა შშმ პირების, შეფასებული ქულების მიხედვით განისაზღვროს გრძელვადიანი ფინანსური დახმარების პაკეტი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება ჯანდაცვის კუთხით*“, აღნიშნეს დისკუსიის მონაწილეებმა.

სოციალური საკითხები და სერვისები: მუნიციპალიტეტს არაერთი სოციალური პროგრამა აქვს შემუშავებული. ზოგადად აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებზე ბიუჯეტი ყოველწლიურად მზარდია, თუმცა მნიშვნელოვანია უფრო სიღრმისეულად მოხდეს ადგილობრივ მოსახლეობაში არსებული სოციალური პრობლემების შესწავლა და შესაბამისი გრძელვადიანი, მდგრადი სერვისების დანერგვის ხელშეწყობა.

მერიის თანადაფინანსებით შესაძლებელია 0 დან 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის ფულადი დახმარების გაცემა და ასევე გარკვეული სამედიცინო სერვისების თანადაფინანსება. 18 წელს ზემოთ შშმ პირებისთვისაც არსებობს ერთჯერადი დახმარება მატერიალური სახით, თუმცა არ არსებობს 18 წელს ზემოთ შშმ მოქალაქეების გაძლიერების, დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები. რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ შშმ პირებისთვის სარეაბილიტაციო ცენტრი არ არსებობს, სადაც თუნდაც კვალიფიციური მასაჟისტის, ოკუპაციური თერაპევტის მომსახურების მიღება იქნებოდა შესაძლებელი. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს შშმ ბავშვებისთვის აუზით სარგებლობის სერვისის თანადაფინანსებას.

როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, საჩხერეში გახსნილი იყო სოციალური საწარმო, საცხობი, სადაც შშმ პირები მუშაობდნენ, რომლისთვისაც შენობა მერიამ გამოყო, თუმცა საწარმომ გარკვეული მიზეზების გამო ვერ იმუშავა, მიუხედავად ამისა ფოკუს ჯგუფების დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა აუცილებლობა და სურვილი, რომ აღნიშნული სოციალური საწარმოს მუშაობის აღდგენა მნიშვნელოვანია.

არსებობს უფასო სასადილო, რომელიც დღეში ერთჯერადად აუცილებელი საკვებით უზრუნველყოფს შეჭირვებულ და სოციალურად დაუცველ მოსახლეობას.

ადგილზე არსებობს ხანდაზმულთა დღის ცენტრი, რომლის ბენეფიციარებიც არიან საჩხერეში რეგისტრირებული ხანდაზმულები. ცენტრის ხელმძღვანელის მონაცემებით, 20 მდე ბინაზე მოსავლელი და 60 მდე დღის ცენტრის ბენეფიციარია რეგისტრირებული. ბინაზე მოსავლელ ბენეფიციარებს წითელი ჯვრის მოხალისეები ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე სტუმრობენ და ძირითადად ეხმარებიან წნევის გაზომვაში, პროდუქტების შექმნა/მიტანაში. ოფიციალურად, ორგანიზებული შინ მოვლის სერვისი არ არის დანერგილი, თუმცა საჭიროება დგას. *„აღნიშნულ მარტოხელა მოხუცებს ჩვენი მოხალისეების გარდა სხვა არავინ ჰყავთ, ვინც მიხედავს, დაულაგებს, მოაწესრიგებს და დაეხმარება ჰიგიენური წესების დაცვაში. ჩვენი წითელი ჯვრის მოხალისეები მაქსიმუმს აკეთებენ, მაგრამ მუდმივად მოხალისეობრივად რთულია თავი გაართვა ყველაფერს“*, აღნიშნა ერთერთმა რესპოდენტმა.

მერიაში ახალი შექმნილია ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, რომლის განვითარება ამ ეტაპზე მიმდინარეობს. ფოკუს ჯგუფების ჩატარების დროისთვის არ იყო ბავშვთა უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის პროგრამები შემუშავების პროცესი დასრულებული. გამოიკვეთა განყოფილების გაძლიერებასა და მხარდაჭერაზე მიმართული აქტივობების განხორციელების აუცილებლობა.

მარტოხელა მშობლებისთვის არსებობს ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა, თუმცა როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს აუცილებელია ასეთი ოჯახების გრძელვადიან გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება, ვინაიდან ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი პრობლემების მოგვარებას ვერ უზრუნველყოფს.

მუნიციპალიტეტში ხორციელდება ქირით უზრუნველყოფის პროგრამა, იმ პირობით, რომელთაც თავშესაფარი არ აქვთ. აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარების ქირით უზრუნველსაყოფად მერიას გამოყოფილი აქვს 130 ლარი ყოველთვიურად, თუმცა როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს, ქირის ოდენობა მზარდია, რის გამოც ბიუჯეტიდან ყოველწლიურად უფრო მეტი რესურსის გამოყოფა შეიძლება გახდეს საჭირო ამ სერვისის გასაგრძელებლად, შესაბამისად სასურველია გამოინახოს უფრო ეფექტური გზები, რომელიც უსახლკაროთა საკითხს გრძელვადიანად მოაგვარებს.

მუნიციპალიტეტში ნარკოდამოკიდებული პირებისთვის დანერგილია მეტადონის პროგრამა, თუმცა აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებთან სხვა დამატებითი სახის მუშაობა, რომელიც ხელს შეუწყობდა მათ რესოციალიზაცია/რეაბილიტაციას არ ხორციელდება. არ არის დანერგილი დანაშაულის პრევენციაზე მიმართული პროგრამები ან სერვისები.

ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად გამოიკვეთა მოქალაქეებისთვის სოციალურად დაუცველობის სტატუსის მინიჭების საკითხი. რესპოდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ აუცილებელია შეფასების სისტემის დახვეწა. *„ორი წელია უკვე მომეხსნა სოციალური დახმარება, მიზეზად კი მიწის ნაკვეთის ქონა დამისახელეს, რაც მიმაჩნია რომ არასწორია, რადგან ამ მიწით ვიღებ სარჩოს“*, აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ.

4. რეკომენდაციები:

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

- სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია ადგილობრივ საჭიროებებზე და მოქალაქეთა ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავება და განხორციელება. ასევე არსებული პროგრამების გადახედვა და პრობემების გაუმჯობესება;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტთან ერთად შემუშავდეს და დაინერგოს მოქალაქეთა ინფორმირებულობის ახალი ფორმები იმ პროგრამების შესახებ, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით ხორციელდება.

აწარმოე საქართველოს

- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტებში მოსახლეობასთან კომუნიკაციის შედეგად გადაიხედოს და გაუმჯობესდეს არსებული პროგრამები, რათა გახდეს ისინი მოქალაქეების საჭიროებებსა და შესაძლებლობებს მორგებული;
- ხელი შეეწყოს პროგრამებში მონაწილეობის სურვილის მქონე მოქალაქეების ბიზნეს და კომპიუტერული უნარების გაძლიერებას.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- დაიწყოს მუშაობა სოციალურად დაუცველთა შეფასების სისტემის განახლებაზე, რათა ეს უკანასკნელი მაქსიმალურად ობიექტურად აფასებდეს მოქალაქის საჭიროებას და სიღუბჭირეს;
- შეფასების პროცესის განხორციელებისას გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის როლი, როგორც იმ სახელმწიფო დაწესებულების, რომელიც ყველაზე ახლოს დგას საკუთარ ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქესთან.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტს

- მნიშვნელოვანია მცირე საგრანტო პროგრამების შემუშავება და ახალგაზრდების ეკონომიკური წახალისება მიგრაციის შესამცირებლად;
- მნიშვნელოვანია ჩართულობის მექანიზმების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება და წახალისება. სასურველია მუნიციპალიტეტმა დაინერგოს ჩართულობის სხვა, ახალი მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს მოქალაქეთა მეტ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაუმჯობესების მიზნით დაინერგოს კომუნიკაციის სხვადასხვა მექანიზმები. მოხდეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა შშმ პირებისთვის;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა გადახედოს არსებულ პროგრამებს და გამონახოს გზები ერთჯერადი ფულადი გასაცემლები შეცვალოს მდგრადი სერვისების მიწოდებით. პროგრამები კი გახადოს უფრო მეტად მორგებული მოსახლეობის საჭიროებებს;
- მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური სერვისის მიწოდების უზრუნველსაყოფად დაინერგოს „აუთოსორსინგის“ (სერვისის შესყიდვის) მექანიზმი მუნიციპალიტეტში.

5. საბიუჯეტო პროგრამა საჩხერის მუნიციპალიტეტისთვის

პროგრამის დასახელება	კოდი	18 წელს ზემოთ ასაკის შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	სხვა რესურსებიდან მიღებული დაფინანსება
			25 000	
პროგრამის განმხორციელებელი უწყება(სამსახური)	მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური			
წინაპირობა	ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) მიერ საჩხერეში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების დისკუსიების დროს, მონაწილეების მხრიდან ერთხმად აღინიშნა, რომ აუცილებელია მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომი გახდეს 18 წელს ზემოთ შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები. აღსანიშნავია, რომ 18 წლამდე ასაკის შშმ პირებისთვის მუნიციპალიტეტში არსებობს სარეაბილიტაციო დღის ცენტრი, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის დონეზე ხელი ეწყობოდეს 18 წელს ასაკს გადაცილებული შშმ პირების უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებას, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს მათ გაძლიერებას და საზოგადოებაში ინტეგრაციას.			
პროგრამის ბენეფიციარები	საჩხერეში რეგისტრირებული 18 წელს ზემოთ შშმ პირები.			
პროგრამის აღწერა (მიზანი)	<p>პროგრამის მიზანია, 18 წელს ზემოთ შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაცია და დასაქმების ხელშეწყობა, ისეთი პროექტების განხორციელებით, რომელიც შემუშავებულია შშმ პირთა მონაწილეობით და ამ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ინიციატივით.</p> <p>გამომდინარე აქედან, წინამდებარე ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შესაბამისი პროფილით მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ინიცირებული ისეთი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება, რომლებიც მიზნად ისახავს შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას. შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე და შშმ პირების მიერ შემოსავლების გამომუშავებაზე ორიენტირებულ პროექტებს.</p> <p>პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია საჩხერეში რეგისტრირებულ ფიზიკურ და შშმ პირთა საინიციატივო ჯგუფებს, ასევე, საჩხერეში რეგისტრირებულ და მოქმედ შშმ პირების საჭიროებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს. სავალდებულოა, საკონკურსოდ წარმოდგენილი</p>			

	<p>პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას იღებდეს საჩხერეში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი 18 წლის ასაკიდან ზემოთ.</p> <p>შემოსული პროექტების შერჩევა მოხდება კონკურსის საფუძველზე, საჩხერის მერიის სოციალური დაცვის სამსახურისა და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს მიერ ერთობლივად შემუშავებული წესის შესაბამისად.</p>			
პროგრამის შედეგი	<p>განხორციელებულია 18 წელს ზემოთ შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამები და გაზრდილია დასაქმებული შშმ პირების რაოდენობა.</p>			
შესრულების ინდიკატორი განხორციელებული პროექტები	საწყისი მაჩვენებელი	2022 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი
	0	3 პროექტი	4 პროექტი	5 პროექტი
პროგრამის შესრულების მონიტორინგის განმხორციელებელი	<p>სოციალურ საკითხთა დაცვის სამსახური/ შიდა აუდიტის სამსახური</p>			
რისკები	<p>ნაკლები მომართვიანობა</p>			

6.დანართი: სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი

საკვლევი საკითხი	ძირითადი კითხვები	შენიშვნა/კომენტარი ინტერვიუერისთვის
გაცნობითი/შესავალი ნაწილი	<ul style="list-style-type: none"> - მისალმება / წარდგენა / მონაწილეთა გაცნობა; - კვლევის მიზნების, ფორმატის და პრინციპების გაცნობა (კონფიდენციალობის კომონენტი); - აუდიო ჩანაწერის განხორციელებაზე თანხმობის მოპოვება. 	ამ ნაწილის მიზანია მონაწილეთა მომზადება და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.
ეკონომიკური განვითარება	<ol style="list-style-type: none"> 1. რა გამოწვევებს ხედავთ თქვენს მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების კუთხით? 2. სოფლის მეურნეობის თქვენთვის სასურველი დარგის განვითარებაში რა ხელშემშლელი გარემოებები არსებობს? 3. გაქვთ თუ არა თქვენს მიერ წარმოებული პროდუქციის ადგილზე რეალიზების შესაძლებლობა? 4. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა ეკონომიკური განვითარების პროგრამებში? თუ არა რატომ? 	თემის ზოგადი მდგომარეობის შეფასება და მწვავე პრობლემების იდენტიფიცირება.
ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა	<ol style="list-style-type: none"> 5. ინფრასტრუქტურის კუთხით რა წარმოადგენს თქვენთვის ყველაზე დიდ გამოწვევას? 6. რამდენად ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტი? 7. არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენს დასახლებებში შესაბამისი საკომუნიკაციო სისტემები? 	აქცენტი გაკეთდება მუნიციპალიტეტში არსებულ ინფრასტრუქტურაზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, კომუნიკაციის ხელმისაწვდომობაზე.
სოციალურ-ეკონომიკური პროფილი	<ol style="list-style-type: none"> 8. რამდენად მიგიწვდებათ ხელი პირველად ჯანდაცვასთან? რა პროგრამები ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის კუთხით? თუ არის ხელმისაწვდომი სოფლის ამბულატორია? ექიმის მომსახურება? 9. რას დაასახელებდით პირველად გამოწვევად ჯანდაცვის კუთხით თქვენს მუნიციპალიტეტში? 10. ეკოლოგიის კუთხით რა სახის პრობლემებს დაასახელებდით? და როგორია მათი ზეგავლენა გარემოზე? 11. რამდენად შეგიძლიათ დასაქმდეთ თქვენს მუნიციპალიტეტში? თუ არა რა ხელშემშლელი ფაქტორებს დაასახელებდით? 12. გაქვთ თუ არა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები? რა გამოწვევებს აწყდებით ამ კუთხით? 	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.

	<p>13. რა უწყობს ხელს თქვენს მუნიციპალიტეტში მიგრაციას?</p> <p>14. რა გამოწვევებს ხედავთ დემოგრაფიული ცვლილებების კუთხით? რა სახის პროგრამები უნდა არსებობდეს დემოგრაფიული კეთილდღეობისთვის?</p>	
<p>განათლება, კულტურა და სოციალური ჩართულობა</p>	<p>15. რამდენად არის ხელმისაწვდომი თქვენს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი და სკოლის განათლება? სასკოლო ტრანსპორტი რამდენად არის ხელმისაწვდომი? თუ არის საგანამანათლებლო ადწესებულებებში ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული?</p> <p>116. კულტურული ცხოვრება რამდენად ხელმისაწვდომია?</p> <p>17. თუ იცნობთ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ჩართულობის რომელიმე მექანიზმს? როგორ ფიქრობთ რა უნდა გაუმჯობესდეს მოქალაქეების ჩართულობის კუთხით ?</p>	<p>განხილული იქნება შემდეგი ქვეთემები: კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები, კულტურული მემკვიდრეობა და სოციალური/კულტურული გარემო; სპორტული და რეკრეაციული ღონისძიებები; სამოქალაქო ჩართულობა; თანასწორობა.</p>
<p>ძირითადი სერვისები და პროგრამები</p>	<p>18. რომელ სერვისებზე მიგიწვდებათ ხელი? რომელი სერვისების ნაკლებობაა თქვენი აზრით თქვენს მუნიციპალიტეტში?</p> <p>19. რისი გაუმჯობესებაა საჭირო უკვე არსებული სერვისების უკეთ ფუნქციონირებისათვის?</p>	<p>ყურადღების გამახველება პროგრამების შესახებ არსებულ ინფორმაციასა და კრიტერიუმებზე; ხელმისაწვდომობის დადგენა.</p>
<p>Covid-19-ის შემდგომ წარმოქმნილი გამოწვევები</p>	<p>20. რა არის ის ძირითადი გამოწვევები, რომლის წინაშეც დადექით კოვიდის შედეგად?</p> <p>21. კოვიდ პანდემიით გამოწვეული სირთულეების დასაძლევად რა პროგრამები და აქტივობები განხორციელდა თქვენს მუნიციპალიტეტში?</p> <p>22. რა უნდა გაკეთდეს თქვენს მუნიციპალიტეტში კოვიდ პანდემიით გამოწვეული პრობლემების შესამსუბუქებლად?</p>	<p>ყურადღების გამახვილება იმ საკითხებზე და გამოწვევებზე, რაც პანდემიის შემდგომ გამოიკვეთა.</p>
<p>რეკომენდაციები / მოსაზრებები გაუმჯობესებისთვის</p>	<p>23. რა უნდა გაკეთდეს თემში არსებული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად?</p> <p>24. რა ტიპის რესურსების მობილიზებაა საჭირო? ვის მიერ?</p>	<p>მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.</p>